

**საქართველოს კონსტიტუცია
(პროექტი)**

სარჩევი

პრეამბულა	3
თავი პირველი. ზოგადი დებულებები	3
თავი მეორე. ადამიანის ძირითადი უფლებები	6
თავი მესამე. ადგილობრივი თვითმმართველობა	16
თავი მეოთხე. გადასახადები	25
თავი მესამე. ცენტრალური ხელისუფლება	28
თავი მეექვსე. სასამართლო ხელისუფლება	40
თავი მეშვიდე. პროკურატურის სისტემა	42
თავი მერვე. რეფერენდუმი და პლებისციტი	43
თავი მეცხრე. საარჩევნო ადმინისტრაცია	46
თავი მათე. საგანგებო მდგომარეობა	47
თავი მეთერთმეტე. თავდაცვის ძალები და ეროვნული გვარდია	48
თავი მეორმეტე. სავალუტო საბჭო	50
თავი მეცამეტე. ცენტრალური საგამოძიებო სამსახური	53
თავი მეოთხმეტე. კონსტიტუციის გადასინჯვა	53

პრეამბულა

ჩვენ, საქართველოს ხალხი, ჩვენი წარმომადგენლებისთვის მინიჭებული უფლებით, ვამტკიცებთ ამ კონსტიტუციას, როგორც თითოეული ჩვენგანის თავისუფლებით ბედნიერებისკენ სწრაფვის საფუძველს. ვიაზრებთ რა, რომ ყოველი ჩვენგანის თავისუფლება ხორციელდება ჩვენივე თვითმმართველი საზოგადოებების მეშვეობით, ამ კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე კანონებით, საფუძველს ვუყრით საქართველოს სახელმწიფოს, როგორც თვითმმართველი საზოგადოებების ერთიანობას, ორგანიზებულს **დასახლებებად**, სოფლებად, ქალაქებად და რეგიონებად. ჩვენს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ, ყოველი ჩვენგანის უსაფრთხოების და განვითარების მიზნით, ამ კონსტიტუციით და მისგან გამომდინარე კანონებით, ძალაუფლების ნაწილს გადავცემთ ჩვენ მიერ არჩეულ ცენტრალურ ხელისუფლებას და ვამკვიდრებთ სამართლებრივ სახელმწიფოსა და კანონით მმართველობას. თუ მმართველობის რომელიმე ფორმა ამ მიზნების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, ჩვენ გვაქვს უფლება შევცვალოთ ეს მმართველობა და შევქმნათ ახალი ხელისუფლება.

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური წყობილების მუდმივი და უცვლელი ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა;
2. საქართველოს დამოუკიდებლობა დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით;
3. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

მუხლი 2.

1. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“;

2. საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი;
3. საქართველოს რეგიონებს შეიძლება ჰქონდეთ ადმინისტრაციული ცენტრი. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი სტატუსი განისაზღვრება რეგიონის კანონით;
4. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო რეგიონში შეიძლება იყოს ქართულ ენასთან ერთად სხვა ენა. სახელმწიფო და რეგიონული ენა დაცულია საქართველოს კანონით;
5. საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია საქართველოს კანონით, რომელიც გადაისინჯება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის განსაზღვრული წესით;
6. საქართველოს რეგიონს შეიძლება ჰქონდეს დროშა და გერბი. რეგიონის დროშა და გერბის მიღების წესი განისაზღვრება რეგიონის კანონით;
7. საქართველოს, ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობიდან გამომდინარე აქვს აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით (რომლებიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია).

მუხლი 3

1. სახელმწიფო ტერიტორიულად არის ორგანიზებული **დასახლებებად**, სოფლებად, ქალაქებად და რეგიონებად, მათ შორის, ავტონომიურ რესპუბლიკებად, რომლებიც სრულად სარგებლობენ რეგიონის უფლებამოსილებებით. ახალი რეგიონი შეიძლება შეიქმნას ამ კონსტიტუციის მიხედვით. სახელმწიფოს ყველა ამ ნაწილში ადამიანის თავისუფლება ხორციელდება თვითმმართველი საზოგადოების მეშვეობით;
2. სახელმწიფო ვალდებულია სოლიდარობის პრინციპის ეფექტიან დაცვაზე. სამართლიანი და ადეკვატური ეკონომიკური ბალანსის დამყარება საქართველოს სახელმწიფოს რეგიონებში, ქალაქებში და სოფლებში საქართველოს ინტერესია.

მუხლი 4

1. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით;

2. ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია საქართველოს მოქალაქეების წინაშე;
3. არავის აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება. საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.

მუხლი 5.

1. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დადგენილი ძირითადი რვა კონვენციით, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით;
2. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6.

1. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს მას;
2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

მუხლი 7.

1. საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;
2. თვითმმართველი ერთეული დამოუკიდებელია საკუთარი საქმეების წარმართვაში. თვითმმართველობისა და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია გამიჯნულია კონსტიტუციით და მისი შეცვლა დასაშვებია კონსტიტუციური კანონით.

მუხლი 8.

1. ეკონომიკური თავისუფლება უზრუნველყოფილია;
2. გადასახადის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონით, რეგიონის ან თვითმმართველი ერთეულის მიერ მიღებული შესაბამისი აქტით.

თავი მეორე. ადამიანის ძირითადი უფლებები

მუხლი 9.

1. ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია და მისი, როგორც სასჯელის სახის აღდგენა დაუშვებელია, ვინაიდან ადამიანს არ შეუძლია ყველა შემთხვევის და მათი ურთიერთკავშირის დადგენა. შესაბამისად, გადაწყვეტილება სასჯელის შესახებ არ უნდა იყოს შეუქცევადი შედეგის გამომწვევი;
2. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია;
3. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი და სხვები ნებისმიერი ხერხით.

მუხლი 10.

1. ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 11.

1. საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება დაცულია;
2. გადაუდებელი საჯარო ინტერესებისთვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 12 საათისა;
4. სასჯელის ფორმად ქონების კონფისკაციის გამოყენება აკრძალულია, გარდა კორუფციულ დანაშაულში მსჯავრდებული პირისთვის და მათი საქართველოს კანონით განსაზღვრული საახლობლო წრის წარმომადგენლებისათვის,

კორუფციის შედეგად მიყენებული ზიანის ან მათ მიერ მიღებული უკანონო სარგებლის თანაბარზომიერად.

მუხლი 12.

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია იდენტობის, რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

მუხლი 13.

1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

მუხლი 14.

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია;
2. თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით;
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს, განსჯადობის მიხედვით, არაუგვიანეს 24 საათისა. თუ მომდევნო 12 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს;
4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს თავისი მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს;
5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს;
6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება საქართველოს კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება, რომელიც თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან;
7. თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც დგინდება ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ, არ უნდა იყოს შეუქცევადი: შეზღუდვის გაუქმების შემდეგ ამ შეზღუდვით გამოწვეული პროცესების ან თავისთავადი

შექცევადობა უნდა მოხდეს ან, შეუქცევადობის შემთხვევაში, მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს შეზღუდვის დამწესებლის მხრიდან;

მუხლი 15.

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება;
2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სხვათა უფლებების, ან/და ჯანმრთელობის, ან/და სიცოცხლის დაცვის, ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან/და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით;
3. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

მუხლი 16.

1. ადამიანის პირადი და თანაცხოვრების უფლება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სხვათა უფლებების, ან/და ჯანმრთელობის, ან/და სიცოცხლის დაცვის, ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ან/და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით;
2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სხვათა უფლებების, ან/და ჯანმრთელობის, ან/და სიცოცხლის დაცვის, ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ან/და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 12 საათისა;
3. ყოველ ადამიანს აქვს თავდაცვის და სხვების ნებისმიერი საშუალებით დაცვის დაცვის აბსოლუტური უფლება - თუკი მას გააჩნია დასაბუთებული ეჭვი, რომ მის ან სხვების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება საფრთხე. ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული თავდაცვის ზომების მიზანშეწონილობის/მიზანშეუწონლობის შესახებ მსჯელობის და გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს.

მუხლი 17.

1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო;
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია;
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას, რეგიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას და საკრებულოებს არ აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა ფლობის უფლება;
4. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სხვათა უფლებების, ან/და ჯანმრთელობის, ან/და სიცოცხლის დაცვის, ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ან/და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან/და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 18.

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე, საჯაროდ მშვიდობიანად შეკრების უფლება.

მუხლი 19.

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება;
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ;

მუხლი 20.

1. შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

მუხლი 21.

1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია;
2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 22.

1. ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება;
2. ყველას აქვს უფლება, საქართველოს კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან სხვა ნებისმიერ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი სხვა ინფორმაცია შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, ან საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად;
3. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი შემთხვევებისა. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, საკრებულოს ან თვითმმართველი ერთეულის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება.

მუხლი 23.

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ შექმნან პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში;
2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, ან განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური გაერთიანების წევრობა;
3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს;

4. პოლიტიკური გაერთიანების აკრძალვა შეიძლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით;
5. საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებაა იყოს არჩეული/დანიშნული ხელისუფლების ნებისმიერ თანდებობაზე;
6. დაუშვებელია ხელისუფლების რომელიმე თანამდებობაზე არჩეული ან დანიშნული იყოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი;

მუხლი 24.

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

მუხლი 25.

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით.

მუხლი 26.

1. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება;
2. მეწარმეობის თავისუფლება გარანტირებულია. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა საქართველოს კანონით დაშვებული შემთხვევებისა.

მუხლი 27.

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება;
2. აკადემიური თავისუფლება გარანტირებულია.

მუხლი 28.

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სივრცით, თუკი ამ სივრცის გამოყენებაზე არ არსებობს საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვა, რომელიც გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სხვათა უფლებების, ან/და ჯანმრთელობის, ან/და სიცოცხლის დაცვის, ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ან/და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული

ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით;

2. ყველას აქვს უფლება თვითონ განკარგოს საკუთარი ჯანმრთელობა, ისევე, როგორც ნებისმიერ ჩარევა თავისი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში;
3. საქართველოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება, ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს საქართველოს კანონით.

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია;
2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე;
3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით;
4. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს;
5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით;
6. არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს;
7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ;
8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის;

9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს;
10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს;
11. არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება საქართველოს კანონით.

მუხლი 30

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა;
2. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონით;
3. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია;
4. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია;
5. საქართველოს მოქალაქის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 31

1. საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
2. სახელმწიფო უფლებამოსილია კანონით დააწესოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა;
3. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით საქართველო თავშესაფარს აძლევს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს;

4. დაუშვებელია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების წინააღმდეგ პირის საქართველოდან გაძევება ან ექსტრადიცია.

მუხლი 32

1. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის განკარგვის უფლება. ასევე ყოველ საზოგადოებას უნდა გააჩნდეს საკმარისი მორალური და ღირებულებითი საზღვრები, რომ ყოველმა მისმა წევრმა ეს უფლება არ მიმართოს საკუთარი ან სხვისი ჯანმრთელობის და კეთილდღეობის საზიანოდ. შესაბამისად, აკრძალულია, საკუთარი ან სხვისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის სავარაუდო ზიანის მიყენების მიზეზით, დაწესდეს სისხლის სამართლის ან/და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
2. კერძო საკუთრების ფარგლებში ნებისმიერი პროდუქციის წარმოება, გაყიდვა ან/და გამოყენება უნდა იყოს თავისუფალი, გარდა კანონით დაწესებული გამონაკლისებისა; კანონით დაწესებული ეს გამონაკლისები უნდა შეეხოს მხოლოდ პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, პროდუქციის კერძო საკუთრების საზღვრებს გარეთ გამოყენების ან/და პროდუქციის რეკლამირების წესებს.

მუხლი 33

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქე, 35 წლის ასაკიდან, უფლებამოსილია ფლობდეს, საცხოვრებელ ადგილას ინახავდეს და თავისი კერძო საკუთრების ფარგლებში ატარებდეს ნებისმიერ ცეცხლსასროლ იარაღს, როგორც საკუთარი თავის და თანამაცხოვრებლების დასაცავად და ქვეყანაში მშვიდობის და დემოკრატიის შესანარჩუნებლად, ასევე - საკოლექციო მიზნებისათვის;
2. არამზადმყოფ მდგომარეობაში ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა დაშვებულია იარაღის მფლობელისთვის;
3. საქართველოს ზრდასრული, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქე, 35 წლის ასაკიდან, უფლებამოსილია ატაროს რეგისტრირებული, მზადმყოფი ცეცხლსასროლი იარაღი იქ, სადაც სახელმწიფოს, ან/და რეგიონს, ან/და თვითმმართველ ერთეულს არ შეუძლია მისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების გარანტირებული უზრუნველყოფა და სადაც სიცოცხლის და ჯანმრთელობის პოტენციური საფრთხის აცილება შესაძლებელია ცეცხლსასროლი იარაღით;

4. ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, რეგისტრაციის, შენახვის და გადატანის წესები დგინდება საქართველოს კანონით;
5. ცივი იარაღის ფლობა არ საჭიროებს რეგისტრაციას. ცივი იარაღის ფლობა, შენახვა და ტარება არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქისათვის დაშვებულია 21 წლის ასაკიდან;
6. როგორც ცივი, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის ტარება კერძო საკუთრების ტერიტორიაზე შეიძლება შეიზღუდოს/აიკრძალოს ამ საკუთრების მფლობელის მოთხოვნით.
7. **ცეცხლსასროლი** იარაღის ტარების, გადატანის და ფლობის ასაკობრივ გამონაკლისს წარმოადგენენ 35 წელზე ახალგაზრდა, **ორ** გაწვევაზე მეტი გამოცდილების მქონე ეროვნული გვარდიის, პროფესიული არმიის, პოლიციის, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს და რეგიონის საპროკურორო სამსახურის მომსახურეები. გამონაკლისის დადგენის წესი დგინდება საქართველოს კანონით;

მუხლი 34

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას შეუდამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 6 წლის ვადით, ერთჯერადად, სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3ს უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი;
2. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება საქართველოს კანონით;
3. სახალხო დამცველის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს;
4. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კანონით.

თავი მესამე. ადგილობრივი თვითმმართველობა

მუხლი 35

1. ყოველი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული დგინდება საქართველოს მოქალაქეების მიერ საკუთარი გარემოს ისტორიული, ტოპონიმური ან/და ფაქტობრივი გამოყენების და ფლობის საზღვრებში, რომლებშიც მათ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილებები ამ საზღვრებში მოქცეული საკუთრების და ამ საკუთრების ფარგლებში არსებული ცოცხალი არსებების შესახებ ისე, რომ არ შელახონ ამ ადამიანების კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები, არ დააზიანონ/გაანადგურონ სხვა ცოცხალი არსებები დასაბუთებული საჭიროების გარეშე და ასეთი საჭიროების შემთხვევაში, გააკეთონ ეს მაქსიმალურად ჰუმანური ფორმით, არ შეზღუდონ სხვა ადამიანების მიერ სხვა თვითმმართველ ერთეულში ასეთივე გადაწყვეტილებების მიღების წესი და უფლება. ყოველი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საზღვრები დგინდება იმ რეგიონის საკრებულოს მიერ, რომელიც მოიცავს დასამტკიცებელ საზღვრებს და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კანონით.

მუხლი 36

1. ადგილობრივი თვითმმართველობის საზღვრებში არსებული კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. თვითმმართველ ერთეულში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ეკუთვნის მისი კერძო საკუთრების დადგენილ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, უძრავი ქონება, ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, მიწაზე - დედამიწის გულამდე და ცაში ატმოსფეროს საზღვრამდე: კერძო საკუთრების ცის სივრცის გამოყენება სხვა ადამიანების თუ მმართველობების მიერ არ უნდა აზიანებდეს კერძო საკუთრებას არც გამოყენების მომენტში და არც ამ გამოყენებით შექმნილი ვითარებით მომავალში და მისი განკარგვა შეუძლია მხოლოდ მესაკუთრეს;
2. თვითმმართველ ერთეულს ეკუთვნის მის დადგენილ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, უძრავი ქონება, ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, რომელიც არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რეგიონის საკუთრებას და ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებას, მიწაზე -

დედამიწის გულამდე და ცაში ატმოსფეროს საზღვრებამდე: ამ საკუთრების ცის სივრცის გამოყენება სხვა ადამიანების თუ მმართველობების მიერ არ უნდა აზიანებდეს ამ საკუთრებას არც გამოყენების მომენტში და არც ამ გამოყენებით შექმნილი ვითარებით მომავალში და მისი განკარგვა შეუძლია მხოლოდ თვითმმართველ ერთეულს;

3. რეგიონის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკუთვნის მის დადგენილ საზღვრებში მოქცეული ტერიტორია, უძრავი ქონება, ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, რომელიც არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებას, მიწაზე - დედამიწის გულამდე და ცაში ატმოსფეროს საზღვრებამდე: რეგიონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საკუთრებაა რეგიონის საკრებულოს და რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების ინფრასტრუქტურა, ეროვნული გვარდიის ტერიტორია და ინფრასტრუქტურა, რეგიონული მნიშვნელობის გზები, რეგიონული მნიშვნელობის სარკინიგზო ლიანდაგები და მატარებლის სადგურები (მათ შორის მეტროპოლიტენის სისტემა) და რეგიონული მნიშვნელობის ხელოვნური წყალსაცავები. რეგიონული მნიშვნელობის გზების და ხელოვნური წყალსაცავების ჩამონათვალი დგინდება საკრებულოს კანონით;
4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული იღებს გადაწყვეტილებას მის საზღვრებში არსებული ყველა საკითხის მიმართ, რაც არ ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებს და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 37

1. ადგილობრივი თვითმმართველობა შედგება:
 - ა) **დასახლების**, სოფლის, ან ქალაქის საბჭოსგან, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, 3 წლის ვადით, მაჟორიტარული წესით. **დასახლების**, სოფლის ან/და ქალაქის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 5 არჩეული წევრით; თუკი **დასახლების**, სოფლის, ან ქალაქის მოსახლეობა აღემატება 100 000-ს, ყოველ დამატებით 20 000 მოსახლეზე საბჭოს ემატება ერთი წევრი; თუკი სოფლის/ქალაქის მოსახლეობა აღემატება 200 000-ს, მაშინ იქმნება ორი თვითმმართველი ერთეული, ხოლო ასეთ

სოფელ/ქალაქს უდგინდება საკრებულო და არჩეული მმართველი; დადგენის და არჩევის წესებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი.

ბ) **დასახლების**, სოფლის ან/და ქალაქის გამგებლისგან, რომელიც აირჩევა სოფლის ან/და ქალაქის საბჭოს მიერ, 4 წლის ვადით; გამგებლის არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;

გ) რეგიონისგან, რომელშიც ერთიანდება თვითმმართველი ერთეულები კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად. საქართველოში თორმეტი რეგიონი და საკრებულო არსებობს: აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის და რაჭა-ლეჩხუმის. საკრებულო შედგება თვითმმართველი ერთეულების მიერ არჩეული გამგებლებისგან. საკრებულოს შემადგენლობა იცვლება 4 წელიწადში ერთხელ;

დ) რეგიონის მმართველისგან, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, 5 წლის ვადით; რეგიონის მმართველის გარდაცვალების ან რაიმე მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, რეგიონის მმართველის მოვალეობას შემდეგ არჩევამდე ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარე;

2. **დასახლების/სოფლის/ქალაქის საბჭოს გამგებლობას მიეკუთვნება:**

ა) ყველა ადგილობრივი საკითხი, რომელიც შეიძლება გადაწყდეს ადგილობრივად, და შესაბამისად, რაც საკრებულოს გამგებლობას არ მიეკუთვნება;

ბ) **დასახლების/სოფლის/ქალაქის ბიუჯეტის მიღება, დამტკიცება და განკარგვა;**

3. საკრებულოს გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საკრებულოს საზღვრებში განათლების, სამედიცინო მომსახურების, სოციალური დაცვის შესახებ, გამომდინარე ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული შესაბამისი კანონებიდან;

ბ) კანონმდებლობა საკრებულოს საზღვრებში არჩევნების შესახებ გამომდინარე ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული შესაბამისი კანონებიდან;

გ) კანონმდებლობა საკრებულოს საზღვრებში გადასახადების აღმინისტრირების, სოლიდარობის გადასახადის შემოღების და მათი გაუქმება-შემცირების შესახებ, გამომდინარე ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული შესაბამისი კანონებიდან;

დ) კანონმდებლობა საკრებულოს საზღვრებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სისტემის, პოლიციის მეთაურების არჩევის შესახებ, გამომდინარე ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული შესაბამისი კანონებიდან;

ე) სისხლის სამართლის კანონმდებლობა რეგიონის ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანაშაული ჩადენილია ცენტრალური ხელისუფლების საკუთრების წინააღმდეგ ან/და ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში, წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხს და განსაზღვრულია დანაშაულად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით. ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის გამოძიება და სისხლის სამართლის დევნა ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების ან/და რეგიონის ხელისუფლების მიერ. ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების სასამართლოს იურისდიქციით;

ვ) კანონმდებლობა იარაღის შექმნის, შენახვის და ტარების წესების შესახებ რეგიონის ტერიტორიაზე, გამომდინარე საქართველოს კანონიდან;

4. საკრებულოს ასევე შეუძლია მიიღოს დადგენილება და განკარგულება. საკრებულოს დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, ხოლო განკარგულება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი;
5. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია მიიღოს დადგენილება და განკარგულება. თვითმმართველი ერთეულის დადგენილება არის ნორმატიული სამართლებრივი აქტი, ხოლო განკარგულება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

1. რეგიონის ტერიტორიაზე საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცემა საკრებულოს;
2. საკრებულო განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის (რეგიონის მმართველის) საყოველთაო და პირდაპირი არჩევის წესს;
3. რეგიონის მმართველი, არჩევიდან ერთი თვის განმავლობაში, საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრების კანდიდატურებს;
4. რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების მინისტრები ინიშნებიან განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის, კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დაცვის და ეროვნული გვარდიის მიმართულებებით;
5. მინისტრები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ადასრულებენ კანონმდებლობას, განკარგავენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ აღმასრულებელი ხელისუფლების რგოლებს, იმუშავენ საკუთარი დარგების გაუმჯობესება-განვითარების წინადადებებს და წარუდგენენ რეგიონის მმართველს; მინისტრების კომპეტენცია და ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს კანონით.

მუხლი 39

1. ადგილობრივი თვითმმართველობის სასამართლო სისტემა შედგება საკრებულოს მიერ დანიშნული მაგისტრატი მოსამართლეებისგან და რეგიონის მოსამართლისგან; საკრებულოს მოსამართლეების კანდიდატურებს წარუდგენს რეგიონის მმართველი;
2. მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით: რეგიონის ყოველ არაუმეტეს 50 000 მაცხოვრებელზე ერთი მაგისტრატი მოსამართლე; მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო არეალში უნდა შედიოდეს ქალაქი - სადაც განთავსდება სასამართლოს ოფისი; მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო არეალი დგინდება რეგიონის კანონით;
3. მაგისტრატი მოსამართლეების კომპეტენციაა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციით გადაწყვეტილების მიღება. მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციათა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
4. რეგიონის მოსამართლეების რაოდენობა ერთ რეგიონში არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები და 10-ზე მეტი;

5. რეგიონის მოსამართლეს აქვს უფლება გააუქმოს მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება;
6. რეგიონის მოსამართლის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კანონით;
7. მაგისტრატი და რეგიონის მოსამართლეები ინიშნებიან 15 წლის ვადით; მაგისტრატი და რეგიონის მოსამართლის ვადამდე ადრე გათავისუფლებისა და დისციპლინური წარმოების წესები განისაზღვრება საქართველოს კანონით;
8. საკრებულო, რეგიონის მმართველის წარდგინებით, ამტკიცებს მაგისტრატი მოსამართლეების კანდიდატურებს უმცირესობის 2/3 და უმრავლესობის 2/3;
9. მაგისტრატი და რეგიონის მოსამართლე უნდა იყოს უმაღლესი აკადემიური და იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან;
10. საკრებულო ირჩევს რეგიონის მთავარ პროკურორს, ერთჯერადად, 6 წლის ვადით. რეგიონის მთავარი პროკურორი უნდა იყოს უმაღლესი აკადემიური და იურიდიული განათლების, გამორჩეული პროფესიული რეპუტაციის და უნარების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან და მის არჩევას მხარი უნდა დაუჭიროს საკრებულოს წევრთა არანაკლებ 2/3;
11. რეგიონის მთავარი პროკურორის არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
12. რეგიონის მთავარი პროკურორი პასუხისმგებელია რეგიონის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის აღსრულებაზე;
13. რეგიონის მთავარი პროკურორის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება მთავარი პროკურორის სამსახური, რომელიც კომპლექტდება პროკურორებისგან, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნის და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
14. რეგიონის მთავარი პროკურორი საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს რეგიონის საგამოძიებო სამსახურებისა და ადგილობრივი პოლიციის უფროსების საქმიანობაზე. რეგიონის მთავარი პროკურორისა და მისი ოფისის კომპეტენციები განისაზღვრება საქართველოს კანონით;
15. ადგილობრივი თვითმმართველობის საგამოძიებო სისტემა შედგება სოფლის და ქალაქის მოსახლეობის მიერ არჩეული პოლიციის უფროსებისგან

და მთავარი პროკურორის სამსახურისგან. არჩეული პოლიციის უფროსების კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კანონით;

16. პოლიციის უფროსი არჩევა ყოველ 100 000 მოსახლეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეგიონის მოსახლეობა 100 000-ზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში რეგიონს ჰყავს პოლიციის ერთი არჩეული უფროსი; პოლიციის უფროსის არჩევისათვის 100 000 მოსახლის არეალის შემოსაზღვრა ხორციელდება საკრებულოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტით: არეალში აუცილებლად უნდა შედიოდეს ქალაქი, სადაც განთავსდება პოლიციის ცენტრალური ოფისი;

17. პოლიციის უფროსის არჩევა ხდება 6 წელიწადში ერთხელ. არჩევნებზე კანდიდატურების წარდგენა არ იზღუდება. ასაკობრივ შეზღუდებს ადგენს საკრებულო საკანონმდებლო აქტით;

მუხლი 40

1. ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით რეგიონის მმართველის, პოლიციის უფროსის, მინისტრის ან/და რეგიონის მთავარი პროკურორის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი გადაეცემა უზენაესს სასამართლოს, რომელიც ერთ თვეში წარუდგენს საკრებულოს შესაბამის დასკვნას;

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, საკრებულო დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს;

3. რეგიონის მმართველი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. პოლიციის უფროსი ან/და მინისტრი ან/და მთავარი პროკურორი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;

4. კონსტიტუციის დარღვევის საფუძვლით რეგიონის მმართველის, პოლიციის უფროსის, მინისტრის ან/და მთავარი პროკურორის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი განსახილველად

გადაეცემა სპეციალურ კომისიას, რომელშიც შედიან უმრავლესობისა და უმცირესობების წარმომადგენლები თანაბრად და საკრებულოს დამოუკიდებელი წევრები;

5. თუ სპეციალურმა კომისიამ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, საკრებულო დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. აღნიშნული პროცედურა წარიმართება ამავე მუხლის მე-5-7 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად;

6. თუ საკრებულომ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგინდეს ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძველზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია;

7. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მინისტრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით;

8. დაუშვებელია რეგიონის მმართველის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 41

1. საკრებულო და რეგიონის მმართველი ვალდებულია, რეგიონის ბიუჯეტის დაგეგმვისას, უპირველესად, გაითვალისწინოს სოციალურად მოწყვლადი და დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდების და ჯგუფების საცხოვრებელი გარემოს, ჯანდაცვის და განათლების მიღების მოთხოვნილებები/საჭიროებები, ასევე სასამართლოს, ეროვნული გვარდიის, პოლიციის უფროსის ოფისისა, პროკურორის სამსახურის ხარჯები; მხოლოდ ამის შემდეგ არის ის უფლებამოსილი საბიუჯეტო ხარჯები მიმართოს სხვა საჭიროებებზე;

2. რეგიონის მმართველი ყოველწლიურად საკრებულოს წარუდგენს რეგიონის ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მოიწონებს საკრებულოს საბიუჯეტო კომიტეტი და მხარს დაუჭერს საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა;

3. საკრებულო უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის 2/3-ით, უარი თქვას რეგიონის მმართველის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს რეგიონის მმართველს.

მოტივირებული შენიშვნების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, რეგიონის მმართველი წყვეტს, მიიღოს თუ არა საკრებულოს შენიშვნები ან ვეტო დაადოს საკრებულოს გადაწყვეტილებას;

4. რეგიონის მმართველის მიერ საკრებულოს წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებზე ვეტოს დადების შემთხვევაში, რეგიონის მმართველსა და საკრებულოს შორის იმართება კონსულტაციები ახალი ბიუჯეტის მიღებამდე. ამ პერიოდში, მოქმედებს წინა წლის ბიუჯეტი;

5. თუკი ორი თვის განმავლობაში ვერ ხდება შეთანხმება რეგიონის მმართველსა და საკრებულოს შორის ბიუჯეტის საკითხზე, მაშინ რეგიონის მმართველი ამტკიცებს ბიუჯეტს ერთპიროვნულად;

6. ერთპიროვნულად დამტკიცებული ბიუჯეტი, რეგიონის მმართველის მხრიდან კორუფციის ან პირადი დაინტერესების დასაბუთებული ეჭვით, შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველი;

7. რეგიონული სასამართლოების, ეროვნული გვარდიის, პოლიციის უფროსის ოფისისა და პროკურორის სამსახურის საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, მათი ოფიციალური უმაღლესი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე დაუშვებელია;

8. სოფლის ან/და ქალაქის საბჭო ვალდებულია, ბიუჯეტის დაგეგმვისას, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, პირველ რიგში დააკმაყოფილოს სოციალურად მოწყვლადი და დახმარების საჭიროების მქონე ინდივიდების და ჯგუფების საცხოვრებელი გარემოს, ჯანდაცვის და განათლების მიღების მოთხოვნილებები/საჭიროებები; მხოლოდ ამის შემდეგ არის ის უფლებამოსილი საბიუჯეტო ხარჯები მიმართოს სხვა საჭიროებებზე.

მუხლი 42

1. რეგიონის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკრძალება საკუთრებაში ჰქონდეს მედიის, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის, რელიგიური და ბიზნეს დაწესებულებები/ორგანიზაციები; ასევე ამ ორგანიზაციების დაფინანსებისას, რეგიონის ხელისუფლება უნდა იცავდეს თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპებს: ყოველი ასეთი დაფინანსება უნდა იყოს მიმართული სფეროში ან მიმართულებაში არსებული ნაკლის გამოსწორებაზე, უნდა ეყრდნობოდეს ზუსტად აღწერილ და

რაოდენობრივად დათვლილ კრიტერიუმებს და არ უნდა ისახავდეს მიზნად რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას;

2. ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია რეგიონის ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ხელისუფლების ინფრასტრუქტურა, უნდა იქნას შესყიდული სოფლის ან/და ქალაქის საბჭოებისგან;
3. საკრებულო უფლებამოსილია შექმნას ეროვნული გვარდიის სამსახური, რომლის ფუნქციაც ბუნებრივი ან/და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების გამკლავებაა. საკრებულოს საზღვრებში არსებული ეროვნული გვარდია ექვემდებარება რეგიონის მმართველს და ფინანსდება რეგიონის ბიუჯეტიდან. ამ კონსტიტუციით და საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები ემორჩილებიან ქვეყნის პრეზიდენტს. ეროვნული გვარდიის კომპეტენციები განისაზღვრება საქართველოს კანონით.

თავი მეოთხე. გადასახადები

მუხლი 43

1. გადასახადების ოდენობა და რაოდენობა დგინდება კონსტიტუციით. შესაძლებელია გადასახადის შემცირება საკრებულოს და თვითმმართველი ერთეულის მიერ;
2. გადასახადის დანიშნულებაა ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური უზრუნველყოფა კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობისათვის;
3. სახელმწიფო ცენტრალური ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკას განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი, რეგიონის ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკას - საკრებულო, ხოლო სოფლის ან/და ქალაქის - სოფლის ან ქალაქის საბჭო, კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად;
4. საქართველოში არსებობს მხოლოდ ოთხი გადასახადი:
 - ა) პერსონალური საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეადგენს 12%: გადასახადის ნახევარი შედის ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტში,

ხოლო მეორე ნახევარი იყოფა ორად, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტსა და იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტს შორის, სადაც რეგისტრირებულია საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი. როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, პერსონალური საშემოსავლო გადასახადის თავისი წილის განაკვეთი შეამციროს 0%-მდე. შემოსავალში იგულისხმება ყველა თანხა, რომელიც აკუმულირდება ფიზიკური პირის ანგარიშებზე;

ბ) ქონების გადასახადი, რომელიც შეადგენს ქონების ღირებულების 1%: ქონების გადასახადი სრულად შედის იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, სადაც განლაგებულია ქონება. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია ქონების გადასახადის განაკვეთი შეამციროს 0%-მდე;

გ) საქონლის და მომსახურების გადასახადი, რომელიც შეადგენს წლიური ბრუნვის 12%-ს: წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელსაც იხდის მყიდველი, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხვას ახორციელებს გამყიდველი. საქონლისა და მომსახურების გადასახადის ნახევარი შედის ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტში, ხოლო მეორე ნახევარი იყოფა ორად: ნახევარი შედის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში, ხოლო მეორე ნახევარი იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, სადაც რეგისტრირებულია საქონლის და მომსახურების მწარმოებელი. წლიური ბრუნვის ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგაც სავალდებულოა საქონლის და მომსახურების გადასახადის გადახდა, დგინდება საქართველოს კანონით. არაპირდაპირი გადასახადის გადარიცხვა ბიუჯეტში ხორციელდება გამყიდველის მიერ მხოლოდ მომსახურების ან საქონლის გაყიდვის შემდეგ. არაპირდაპირი გადასახადის გადარიცხვის მოთხოვნა მომსახურების ან საქონლის გაყიდვის წინმსწრებად აკრძალულია და ისჯება საქართველოს კანონით;

დ) ყოველ ადამიანს თავისუფლების შესაძლებლობას ანიჭებს ის საზოგადოება, რომელშიც ის ცხოვრობს და ვითარდება; ამავ დროს, შეუძლებელია, არსებობდეს თეორია ან წესი, რომელიც ითვალისწინებს ყველა პირობას და შემთხვევას. ამასთან ერთად, ვინაიდან საზოგადოება შეუძლებელია იყოს სრულყოფილი თავისუფლების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში, ხოლო მისი წევრი აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებაში, სოლიდარობის გადასახადის შესაძლებლობის დაშვების მიზანია, დემოკრატიული საზოგადოების წევრების მიერ თავისუფლებით

მოპოვებული კეთილდღეობის ნაწილი აქციოს ამ საზოგადოებაში თავისუფლების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობის შექმნად. შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებაა, თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქონლის ან/და მომსახურების წარმოებით მიღებული შემოსავლის ყოველი ოდენობა, რომელიც 100-ჯერ აღემატება ამ თვითმმართველ ერთეულში დაფიქსირებული შუალედურ წლიურ შემოსავალს, დამატებით დაბეგროს 5%-ით. სოლიდარობის გადასახადი იყოფა ორად: ნახევარი მიემართება რეგიონის ბიუჯეტში, ხოლო მეორე ნახევარი - თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია გააუქმოს ან შეამციროს საკრებულოს მიერ დადგენილი პროგრესული გადასახადის საკუთარი წილი;

5. როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე საკრებულოს და თვითმმართველ ერთეულს, ეკრძალება ვალის აღება, რომელიც აღემატება მათი წლიური ბიუჯეტის 5 %-ს;

6. გადასახადების ადმინისტრირება ხდება ცენტრალიზებულად, საქართველოს პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის 2/3, 10 წლის ვადით არჩეული საგადასახადო სამსახურის ადმინისტრატორის და მისი სამსახურის მიერ. საგადასადო სამსახურის ადმინისტრატორის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი; საგადასახადო სამსახურის საქმიანობის წესი და ფარგლები განისაზღვრება საქართველოს კანონით;

7. რეგიონის ან/და თვითმმართველი ერთეულების მართვის ორგანოები უფლებამოსილნი არიან საკანონმდებლო აქტით დააწესონ მოსაკრებელი მათ მიერ გაწეული მომსახურებისათვის. მოსაკრებლის რაოდენობა მომსახურების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს რეგიონის ან/და თვითმმართველი ერთეულის მაცხოვრებლის მინიმალური თვიური შემოსავლის 1/10-ს.

თავი მეხუთე. ცენტრალური ხელისუფლება

მუხლი 44

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს მხოლოდ იმ მოქმედებებს, რომლებიც არ შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე დონეზე. ცენტრალური ხელისუფლების ამოცანაა, ამ კონსტიტუციიდან გამომდინარე შეიმუშაოს საქართველოს კანონები და დაიცვას კანონების აღსრულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაეხმაროს თვითმმართველობებს მათ საზღვრებში მცხოვრები ადამიანების თავისუფლებისა და ბედნიერების უზრუნველყოფაში. ცენტრალური ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა გარე და შიდა საფრთხეებისგან, შექმნას თვითმმართველობების თანამშრომლობის სამართლიანი და პროდუქტიული სისტემა, შექმნას მყარი საფუძველი საქართველოს მოქალაქეების ქვეყნის შიგნით თუ მის საზღვრებს გარეთ უსაფრთხოებისა და განვითარებისთვის.

მუხლი 45

4. ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაშია ცენტრალური ხელისუფლებისა და პარლამენტის ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურის ტერიტორია, ქვეყნის ტრანსმაგისტრალები, სამხედრო ბაზების ტერიტორიები და ინფრასტრუქტურა, ქვეყნის საზღვრებზე მდებარე ეროვნული პარკები და ნაკრძალები, ქვეყნის საზღვრების ტერიტორია და მასზე მდებარე ინფრასტრუქტურა, საზღვაო წყლები (გარდა სანაპიროს ტერიტორიისა, რომელიც შედის თვითმმართველი ერთეულის საზღვრებში) და საზღვაო პორტები, მდინარეების ზღვაში შესართავები და მდინარეების/ტბების ის მონაკვეთები, რომლებიც მოქცეულია ამ მუხლში ჩამოთვლილი საკუთრების სიაში;
5. ცენტრალური ხელისუფლება, როდესაც მას უჩნდება ამავე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საკუთრების გაზრდის აუცილებლობა, იძენს შესაბამის ტერიტორიას თვითმმართველი ერთეულისგან ამ ერთეულის თანხმობით. დაუშვებელია საქართველოს კანონის ან კონსტიტუციის ცვლილება ცენტრალური ხელისუფლების საკუთრების გაზრდის მიზნით, გარდა ამ მუხლში მითითებული საფუძვლისა;

6. ცენტრალური ხელისუფლების საკუთრება დგინდება საქართველოს კანონით. ცენტრალური ხელისუფლების საკუთრება ქვეყნის საზღვრებზე, საზღვაო წყლების, მდინარეების და ქვეყნის საზღვრებზე მდებარე ეროვნული პარკების და ნაკრძალების გარდა, არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის საზღვრიდან ქვეყნის სიღრმისკენ 5 კილომეტრზე მეტად დაშორებული; ცენტრალური ხელისუფლების კუთვნილ ტერიტორიაზე დაშვებულია ეკონომიკური და საქველმოქმედო საქმიანობა, რომლის წესებიც დგინდება საქართველოს კანონით;
7. ცენტრალურ ხელისუფლებას ეკრძალება საკუთრებაში ჰქონდეს მედიის, განათლების, კულტურის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის, რელიგიური და ბიზნეს დაწესებულებები/ორგანიზაციები, გარდა ამ კონსტიტუციით დაწესებული გამონაკლისისა; ასევე ამ ორგანიზაციების დაფინანსებისას, ცენტრალური ხელისუფლება უნდა იცავდეს თანასწორობის და სამართლიანობის პრინციპებს: ყოველი ასეთი დაფინანსება უნდა იყოს მიმართული სფეროში ან მიმართულებაში არსებული ნაკლის გამოსწორებაზე, უნდა ეყრდნობოდეს ზუსტად აღწერილ და რაოდენობრივად დათვლილ კრიტერიუმებს და არ უნდა ისახავდეს მიზნად რომელიმე კონკრეტული ორგანიზაციის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენებას.

მუხლი 46

1. საკანონმდებლო ხელისუფლება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, რომელიც შედგება პროპორციული წესით არჩეული წარმომადგენლებისგან. საქართველოს პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს თვითმმართველობების და ქვეყნის მთავრობის საქმიანობას;
2. პარლამენტი შედგება, საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 60 წევრისაგან, რომელსაც ირჩევს რეგიონის საზღვრებში მოქცეული, საარჩევნო ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქეები, ყოველი რეგიონიდან 5 წევრის ოდენობით;

3. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წლის განმავლობაში მაინც. პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა;
4. პოლიტიკური გაერთიანებები წარადგენენ, სულ მცირე, 20 კანდიდატიან სიას თითოეული რეგიონის საზღვრებში მოქცეული საარჩევნო ოლქებისთვის. არჩევნებში მონაწილე რეგიონის მაცხოვრებელთა ფაქტობრივი რაოდენობა იყოფა 5ზე, რის შედეგადაც საარჩევნო ოლქის მოცულობა;
5. საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელსაც ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი არჩევნების დანიშვნის დროისთვის ან რომლის მხარდაჭერა საქართველოს კანონით დადგენილი წესით დადასტურებულია არანაკლებ 10000 ამომრჩევლის ხელმოწერით;
6. პარლამენტის არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით. პარლამენტის საქმიანობის წესს განსაზღვრავს პარლამენტი.

მუხლი 47

1. საკანონმდებლო ხელისუფლების გამგებლობას მიეკუთვნება:
 - ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა: ადგენს ქვეყანაში სამოქალაქო და სისხლის სამართლის აღსრულების წესებს და ჩარჩოებს. დაუშვებელია ეს კანონმდებლობა საკრებულოებს ამ ჩარჩოებში და წესებში მოქმედებას უზღუდავდეს;
 - ბ) კანონმდებლობა სასამართლოების შესახებ: ადგენს მოსამართლეების არჩევის წესებს. დაუშვებელია ეს კანონმდებლობა ერეოდეს კონსტიტუციით განსაზღვრულ საკრებულოების კომპეტენციაში;
 - გ) კანონმდებლობა განათლების და კვლევის შესახებ: ადგენს ცენტრალური ხელისუფლების და პარლამენტის მხრიდან საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების დანმარების და განვითარების წესებს და საზღვრებს; დაუშვებელია ეს კანონმდებლობა განსაზღვრავდეს ამ ორგანიზაციების მმართველობის წესებს და სტრუქტურას;
 - დ) კანონმდებლობა არჩევნების შესახებ: ადგენს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საარჩევნო პროცედურებს და აკრძალვებს. დაუშვებელია კანონმდებლობა ზღუდავდეს ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული რეგიონის და საკრებულოების კომპეტენციას ამ მიმართულებით;

ე) კანონმდებლობა საფინანსო საქმიანობის შესახებ: ადგენს საფინანსო საქმიანობის წესებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. დაუშვებელია კონსტიტუციით განსაზღვრული საკრებულოების და თვითმმართველი ერთეულების უფლებების შეზღუდვა;

ვ) კანონმდებლობა ადამიანის უფლებების და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის შესახებ: ადგენს ადამიანის უფლებების და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. დაუშვებელია კონსტიტუციით განსაზღვრული საკრებულოების მიერ არჩეული მთავარი პროკურორის სამსახურის და არჩეული პოლიციის უფროსების კომპეტენციების შეზღუდვა;

ზ) კანონმდებლობა გადასახადებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ: ადგენს ამ კონსტიტუციით განსაზღვრული გადასახადების და ეკონომიკური საქმიანობის წესებს. ამ კონსტიტუციით განსაზღვრული გადასახადების გარდა, ირიბი ან პირდაპირი გადასახადების დაწესება აკრძალულია;

თ) კანონმდებლობა ჯანდაცვის და სოციალური დაცვის შესახებ: ადგენს ჯანდაცვის და სოციალური დაცვის წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასევე იმ აუცილებელი კვლევითი დაწესებულების სტრუქტურას და მართვის წესს, რომელიც აუცილებელია ჯანდაცვის უსაფრთხოებისთვის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე;

ი) კანონმდებლობა საჰაერო და საზღვაო სივრცეების შესახებ: ადგენს საჰაერო და საზღვაო სივრცეების გამოყენების წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული კერძო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ხელყოფა ან შეზღუდვა;

კ) კანონმდებლობა ბუნებრივი რესურსების გამოყენების და განახლების შესახებ: ადგენს ბუნებრივი რესურსების გამოყენების წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული კერძო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ხელყოფა ან შეზღუდვა;

ლ) კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ: ადგენს კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების და დაცვის წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული კერძო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ხელყოფა ან შეზღუდვა;

მ) კანონმდებლობა მცენარეთა და ცხოველთა დაცვის შესახებ: ადგენს მცენარეთა და ცხოველთა გამოყენების და დაცვის წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული კერძო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრების ხელყოფა ან შეზღუდვა;

ნ) კანონმდებლობა თავდაცვის და უსაფრთხოების შესახებ: ადგენს თავდაცვის და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ასევე თავდაცვის და უსაფრთხოების ორგანიზაციების და ძალების სტრუქტურას, მმართველობის და დაქვემდებარების წესს. დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა ან შეზღუდვა;

ო) კანონმდებლობა ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების შესახებ: ადგენს ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედების წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულების და საკრებულოების უფლებების ხელყოფა ან შეზღუდვა;

პ) კანონმდებლობა თვითმმართველობების შესახებ: ადგენს რეგიონების აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მოქმედების წესებს და საზღვრებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე; დაუშვებელია ამავე კონსტიტუციით განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულების და საკრებულოების უფლებების ხელყოფა ან შეზღუდვა;

ჟ) კანონმდებლობა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, ფლობის და ტარების შესახებ: ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, თუ როგორ უნდა მოხდეს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, ფლობა და ტარება, გარდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების საკუთრებაში არსებული იარაღისა. დაუშვებელია ამ კანონით შეიზღუდოს კერძო საკუთრების მფლობელის უფლება დააწესოს შეზღუდვა/აკრძალვა საკუთრების ტერიტორიაზე იარაღის შენახვის ან/და ტარების შესახებ და ფლობდეს და ატაროს მზადმყოფი იარაღი თავისი საკუთრების ტერიტორიაზე;

2. პარლამენტის მუშაობის ორგანიზებისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შედიან პარლამენტის თავმჯდომარე,

თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები;

3. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით, პარლამენტში იქმნება კომიტეტები;
4. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში რეგლამენტით დადგენილი წესით. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებები განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით;
5. რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5 ინიციატივით, პარლამენტში იქმნება საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები;
6. დროებითი კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი, რეგლამენტით დადგენილი წესით. გადაწყვეტილება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3 მხარდაჭერით. დროებით კომისიაში საპარლამენტო ფრაქციები წარმოდგენილი უნდა იყოს თითო წევრით მაინც. დროებით კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლები;
7. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება, აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით;
8. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მინისტრს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, ყველა დონის ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა;
9. საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ სამკაცრიან ჯგუფს უფლება აქვს, ინტერპელაციის წესით, შეკითხვით მიმართოს მინისტრს ან/და მინისტრებს, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი;

10. პარლამენტი თავისი უფლებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს;
11. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/4 ან მთავრობის მოთხოვნით პარლამენტის სესიებს შორის პერიოდში იწვევს რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი, თავისი რეგლამენტის თანახმად, იკრიბება მომდევნო 48 საათის განმავლობაში. პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ ინიციატორის მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე;
12. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებისთანავე პარლამენტი იკრიბება საგანგებო სესიაზე. საგანგებო სესია გრძელდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე;
13. პარლამენტის სხდომები საჯაროა. პარლამენტი დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3 იღებს გადაწყვეტილებას ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომის ან სხდომის ნაწილის დახურულად გამოცხადების შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ განიხილება და მიიღება დახურული წესით. პარლამენტის ღია სხდომის ოქმი საჯაროა;
14. პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული. კენჭისყრა ღიაა, გარდა კონსტიტუციით ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
15. მინისტრი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომებზე დასმულ შეკითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ;
16. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, რეგიონის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 20000 ამომრჩეველს;

17. კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3სა თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონის მიღების სხვა წესი. საქართველოს კანონი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული საქართველოს კანონის მიღების სხვა წესი;
18. პარლამენტის სხვა გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის 1/3სა, თუ კონსტიტუციით ან კანონით არ არის განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების სხვა წესი. გადაწყვეტილება კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5;
19. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი 10 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს;
20. საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს;
21. თუ საქართველოს პრეზიდენტი დააბრუნებს კანონს, პარლამენტი კენჭს უყრის საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონის პირვანდელი მიღებისათვის არის დადგენილი. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონის საბოლოო რედაქცია 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას;
22. თუ პარლამენტმა არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონის პირვანდელ რედაქციას. საქართველოს კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4. კანონი 3 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას;
23. თუ საქართველოს პრეზიდენტმა დადგინდ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი და არც მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს, მას ვადის ამოწურვიდან 5 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე;

24. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ იმავე კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 48

1. ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მინისტრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, სავალუტო საბჭოს პრეზიდენტის ან სავალუტო საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3ს. საკითხი გადაეცემა უზენაეს სასამართლოს, რომელიც ერთ თვეში წარუდგენს პარლამენტს შესაბამის დასკვნას;
2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს;
3. საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3. მინისტრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გენერალური პროკურორი, სავალუტო ფონდის საბჭოს წევრი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა;
4. კონსტიტუციის დარღვევის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მინისტრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, სავალუტო საბჭოს პრეზიდენტის ან სავალუტო საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3. საკითხი განსახილველად გადაეცემა სპეციალურ საპარლამენტო კომისიას, რომელშიც შედიან უმრავლესობისა და უმცირესობების წარმომადგენლები თანაბრად და დამოუკიდებელი დეპუტატები. კომისის შემადგენლობაში შედის ყველა საკრებულოს თავმჯდომარე;

5. თუ სპეციალურმა კომისიამ თავისი დასკვნით დაადასტურა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი დასკვნის წარდგენიდან 2 კვირის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის იმპიჩმენტის წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. აღნიშნული პროცედურა წარიმართება ამავე მუხლის მე-3-4 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად;
6. თუ პარლამენტმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდეს ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საფუძველზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია;
7. ამ მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენება, გარდა მინისტრისა, შეიძლება მხოლოდ იმპიჩმენტის წესით;
8. დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

მუხლი 49

1. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და ქვეყნის მთავარსარდალი არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, 5 წლის ვადით;
2. საქართველოს მოქალაქეები ირჩევენ პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს. ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას არჩევნებში წარადგენს პრეზიდენტობის კანდიდატი. ვიცე-პრეზიდენტის ფუნქციაა დაეხმაროს პრეზიდენტს მისი მოვალეობების და უფლებამოსილების განხორციელებაში და შეასრულოს პრეზიდენტის მოვალეობა პრეზიდენტის გარდაცვალების ან რაიმე მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში შემდეგ არჩევნებამდე;
3. თუკი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს ვიცე-პრეზიდენტი გარდაიცვალა ან რაიმე მიზეზით არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას შემდეგ არჩევნებამდე ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. პრეზიდენტის უფლებამოსილების შემდგომი გადაცემის წესი დგინდება საქართველოს კანონით;
4. პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელიც დაბადებულია საქართველოში და უკანასკნელი 15

წელი მაინც უცხოვრია ქვეყნის ტერიტორიაზე. დაუშვებელია პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად ერთი და იმავე პირის სამჯერ არჩევა;

5. არჩვიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრებს;
6. მინისტრებისა და მათი აპარატის მოვალეობაა ქვეყანაში მათი პროფილის შესაბამისი სიტუაციის ანალიზი და მოქმედება კონსტიტუციისა და კანონმდებლობის აღსრულების/დაცვის მიზნით. ასევე მათ სფეროებში არსებული ვითარების გაუმჯობესება/განვითარებისათვის წინადადებების შემუშავება. შემუშავებული წინადადებები წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც განხილვის შემდეგ შესაბამის წინადადებებსა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებს წარუდგენს ქვეყნის პარლამენტს დასამტკიცებლად;
7. მინისტრების უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონით;
8. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დაპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ბ) პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მინისტრებს;

გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები;

დ) იღებს მინისტრებისა და კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მინისტრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება ახალი მინისტრების დანიშვნამდე;

ე) შეიმუშავებს და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების დროს ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო

ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარედგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას, ბრძანებულებასა და განკარგულებას;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წყვეტს მოქალაქეობის მინიჭებისა და თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს ბრალდებულთ და მსჯავრდებულთ;

9. ნიშნავს პარლამენტისა და საკრებულოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით;
10. უფლებამოსილია გააუქმოს მისდამი ანგარიშვალდებული ადმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები;
11. არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეობს მის სხდომებს, ნიშნავს და გადააყენებს სარდლებს;
12. ყოველწლიურად პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მოიწონებს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტი და მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა;
13. პარლამენტი უფლებამოსილია, სრული შემადგენლობის 2/3-ით, უარი თქვას პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის დამტკიცებაზე და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნოს პრეზიდენტს. მოტივირებული შენიშვნების მიღებიდან 2 კვირის ვადაში, პრეზიდენტი წყვეტს, მიიღოს თუ არა პარლამენტის შენიშვნები ან ვეტო დაადოს პარლამენტის გადაწყვეტილებას;

14. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის წარდგენილ მოტივირებულ შენიშვნებზე ვეტოს დადების შემთხვევაში, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის იმართება კონსულტაციები ახალი ბიუჯეტის მიღებამდე. ამ პერიოდში, მოქმედებს წინა წლის ბიუჯეტი;
15. თუკი ორი თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა ბიუჯეტზე შეთანხმება, პრეზიდენტი ერთპიროვნულად ამტკიცებს ბიუჯეტს;
16. ერთპიროვნულად დამტკიცებული ბიუჯეტი, პრეზიდენტის მხრიდან კორუფციის ან პირადი დაინტერესების დასაბუთებული ეჭვით, შეიძლება გახდეს იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველი;
17. სასამართლოს, თავდაცვის ძალების, გენერალური პროკურატურის და სახალხო დამცველის საბიუჯეტო ხარჯების შემცირება მათი ოფიციალური უმაღლესი წარმომადგენლების თანხმობის გარეშე დაუშვებელია;
18. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი მეექვსე. სასამართლო ხელისუფლება

მუხლი 50

1. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ რეგიონული და ეროვნული სასამართლოები. რეგიონული სასამართლო შედგება რეგიონის მმართველის მიერ საკრებულოს უმცირესობის და უმრავლესობის, ცალ-ცალკე $2/3$ მხარდაჭერით დანიშნული მაგისტრატი მოსამართლეებისგან და რეგიონის მმართველის მიერ საკრებულოს ხმების $2/3$ მხარდაჭერით დანიშნული რეგიონის მოსამართლეებისგან; მაგისტრანტი მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ პირველი ინსტანციით; რეგიონის მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ სააპელაციო წესით;
2. ეროვნული სასამართლო შედგება სააპელაციო სასამართლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო ცენტრალური სასამართლოს სისტემაში. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია;

3. რეგიონულ და ეროვნულ სასამართლოებში პირის უფლებაა, მისი საქმე განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. რეგიონული და ეროვნული სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
4. ნაფიც მსაჯულებს, თავისი მოვალეობის შესრულებისას, უნარჩუნდებათ ხელფასი და ყოველგვარი თანამდებობრივი სარგო, რომელიც გააჩნიათ ნაფიც მსაჯულად გახდომის დროს;
5. ნაფიცი მსაჯულების შერჩევის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი;
6. საქართველოში მოქმედებს რეგიონული, ეროვნული სასამართლოები, ორი ცენტრალური სააპელაციო სასამართლო, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოსთვის ცალ-ცალკე. თითოეული სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 15 მოსამართლე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს 15 წლით;
7. სააპელაციო სასამართლოების საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის საკასაციო და საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანო, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან/და გადასინჯვას არ ექვემდებარება. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის 9 მოსამართლე. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, უვადოდ, პარლამენტის უმრავლესობის 2/3ის და უმცირესობის 2/3ის მხარდაჭერით ირჩევს პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის შესახებ ინფორმაციის მოძიებას და კანდიდატის საჯარო სხდომაზე მოსმენას პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
9. უზენაესი სასამართლოს საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
10. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით;

11. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების სხვა წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით;
12. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის;
13. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე, ხოლო რეგიონში ასევე რეგიონის ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი;
14. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

თავი მეშვიდე. პროკურატურის სისტემა

მუხლი 51

1. საქართველოს პროკურატურის სისტემა შედგება საქართველოს გენერალური პროკურატურისა და რეგიონის მთავარი პროკურორების ოფისებისგან. პროკურორი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და საქართველოს კანონს;
2. გენერალურ პროკურორად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი აკადემიური და იურიდიული განათლება, გამოირჩევა პროფესიული რეპუტაციით და კეთილსინდისიერებით, არ არის ნასამართლევნი და აქვს სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება საკუთარი პროფესიით;
3. გენერალურ პროკურორს, 6 წლის ვადით, ერთჯერადად, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის 2/3 და უმცირესობის 2/3 თანხმობის

შემთხვევაში. გენერალური პროკურორი ანგარიშვალდებულია იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინაშე;

4. გენერალური პროკურატურა, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, ახორციელებს სისხლის სამართლის დევნას ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულების გამოძიების პროცესში. დაუშვებელია, გენერალურ პროკურატურას ჰქონდეს საგამოძიებო კომპეტენცია ან/და საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებისას ჩაერიოს ცენტრალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაში;
5. გენერალური პროკურატურა საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს რეგიონის მთავარ პროკურორზე და ამავე პროკურორის ოფისის პროკურორებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაული შეიცავს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულის ნიშნებს;
6. პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი და სისხლის სამართლის საქმეზე გამოდის საქართველოს სახელით.

თავი მერვე. რეფერენდუმი და პლემბისციტი

მუხლი 52

1. რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, არანორმატიული შინაარსის, სახელმწიფოებრივი ან/და რეგიონული მნიშვნელობის საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად;
2. რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით;
3. რეფერენდუმი იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან/და რეგიონის ტერიტორიაზე. რეფერენდუმი ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით;
4. მოქალაქეები რეფერენდუმში მონაწილეობენ უშუალოდ და პირადად. რეფერენდუმის ყოველ მონაწილეს აქვს ერთი ხმა;
5. რეფერენდუმში მონაწილეობა თავისუფალია, მოქალაქეების ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია;
6. რეფერენდუმი მზადდება და იმართება ღიად და საჯაროდ;

7. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში; სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში;
8. რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან, არანორმატიული შინაარსის სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის, საქართველოს კანონებით, საკრებულოს საკანონმდებლო აქტებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ;
9. დაუშვებელია რეფერენდუმის ჩატარება:
 - ა) კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად;
 - ბ) ამნისტიის ან შეწყალების გამო;
 - გ) საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ;
 - დ) ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას;
 - ე) ქვეყნის საზღვრების გადასასინჯად და/ან ქვეყნის შემადგენლობიდან თვითმმართველი ერთეულის გასასვლელად;
10. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, ან არანაკლებ 100 000 ამომრჩევლის მოთხოვნით, დანიშნოს რეფერენდუმი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში;
11. რეგიონის მმართველი უფლებამოსილია საკრებულოს, ან არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის მოთხოვნით, დანიშნოს რეფერენდუმი საკრებულოს ტერიტორიაზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში;
12. რეფერენდუმის გამართვა არ შეიძლება:
 - ა) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში;
 - ბ) ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნისას;
 - გ) მასობრივი არეულობის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა

შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას;

ერთსა და იმავე საკითხზე რეფერენდუმის დანიშვნა არ შეიძლება ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ოფიციალურად გამოქვეყნდა ამ საკითხზე გამართული რეფერენდუმის შედეგები;

13. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რეფერენდუმის მოწყობის მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. რეგიონში რეფერენდუმის მოწყობის მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება რეგიონის ბიუჯეტის ხარჯზე;
14. მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს უფლება აქვთ შეუფერხებლად აწარმოონ აგიტაცია რეფერენდუმთან დაკავშირებით, აგრეთვე რეფერენდუმზე გამოტანილი საკითხის ირგვლივ;
15. რეფერენდუმის ან მასზე გამოტანილი საკითხის შესახებ აგიტაციას არ შეიძლება აწარმოებდნენ სარეფერენდუმო კომისიის წევრები;
16. აგიტაცია რეფერენდუმის დღეს დაუშვებელია;
17. რეფერენდუმის მოწყობისა და გამართვის სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით;
18. რეფერენდუმის შედეგი სავალდებულო აღსასრულებელია ხელისუფლებისათვის რეფერენდუმის შედეგების მიღებიდან 1 წლის ვადაში;
19. პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან, არანორმატიული შინაარსის მქონე სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად;
20. პლებისციტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო რეგიონის ტერიტორიაზე - რეგიონის მმართველი;
21. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლებისა და რეგიონის ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა;
22. პლებისციტის ჩატარებაზე ვრცელდება ამავე მუხლის 1-18 პუნქტების მოთხოვნები. პლებისციტის მოწყობისა და გამართვის სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით.

თავი მეცხრე. საარჩევნო ადმინისტრაცია

მუხლი 53

1. საქართველოში საყოველთაო არჩევნების, რეფერენდუმის და პლემბისციტის მომზადებასა და ჩატარებას მეთვალყურეობს, კონსულტირებას უწევს და შედეგებს ამტკიცებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია.

მუხლი 54

1. საქართველოში არჩევნების, რეფერენდუმის და პლემბისციტის ჩატარებაზე პასუხისმგებელია რეგიონის ხელმძღვანელის ადმინისტრაცია და საკრებულო. არჩევნების ჩატარების წესი რეგულირდება საქართველოს კანონით და მისგან გამომდინარე რეგიონის კანონით.

მუხლი 55

1. საქართველოში საყოველთაო არჩევნები ტარდება თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 56

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება 5 წევრისგან და ირჩევა 10 წლის ვადით საპარლამენტო უმრავლესობის ხმების 2/3 და საპარლამენტო უმცირესობის ხმების 2/3.

მუხლი 57

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციაა დააკვირდეს არჩევნების მიმდინარეობას, განიხილოს წარმოქმნილი დავები, უფლებამოსილია დანიშნოს ხმების გადათვლა, გააუქმოს უბანზე კენჭისყრის შედეგები და დანიშნოს განმეორებითი არჩევნები.

მუხლი 58

1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოვალეობაა შეიმუშაოს წინადადებები ელექტრონული არჩევნების შესახებ და წარუდგინოს პარლამენტს საკანონმდებლო ვცლილებების სახით.

მუხლი 59

1. საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რეგიონულ სასამართლოში, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნების შედეგების შესახებ - ეროვნულ სასამართლოში.

მუხლი 60

1. საარჩევნო ადმინისტრაციას ჰყავს აპარატი, რომლის ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს კანონით.

თავი მეათე. საომარი და საგანგებო მდგომარეობა

მუხლი 61

1. საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის ან მისი უშუალო საფრთხის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და ამ გადაწყვეტილებებს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ძალაში შედის საომარი მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას;
2. მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის დროს ან სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. გადაწყვეტილება ძალაში შედის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მომენტიდან. პარლამენტი გადაწყვეტილებას ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;
3. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს საქართველოს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს კონკრეტული, დეკრეტში მითითებული ვადით. სავალუტო საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული დეკრეტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანხმობით. დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას;

4. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში დეკრეტით შეზღუდოს კონსტიტუციით განმტკიცებული თავისუფლების, მიმოსვლის, პირადი და თანაცხოვრების უფლების, გამოხატვის, საკუთრების, შეკრებისა და შრომის თავისუფლების უფლებები დეკრეტში მითითებული კონკრეტული ვადით. საქართველოს პრეზიდენტი ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეკრეტს დაუყოვნებლივ წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ ძალაში შედის პარლამენტის მიერ დამტკიცებისთანავე. დეკრეტი უფლების შეზღუდვის შესახებ მტკიცდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;
5. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საყოველთაო არჩევნები, რეფერენდუმი ან/და პლემბისციტი არ ტარდება. ქვეყნის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის შემოდების შემთხვევაში ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არჩევნების, რეფერენდუმის ან/და პლემბისციტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი;
6. გადაწყვეტილება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმების შესახებ მიიღება საქართველოს პარლამენტის მიერ იმავე წესით, როგორც ხდება აღნიშნული მდგომარეობის გამოცხადება;
7. პარლამენტის გადაწყვეტილება ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

თავი მეთერთმეტე. თავდაცვის ძალები და ეროვნული გვარდია

მუხლი 62

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა;
2. საქართველოს დაცვა საამისო უნარის მქონე საქართველოს ყოველი მოქალაქის ვალდებულებაა, განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა. თავდაცვის ძალები შედგება: ნებაყოფლობითი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე არსებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, მოქალაქეთა სავალდებულო გაწვევაზე დაფუძნებული ტერიტორიული რეზერვის

სამსახურისა და სახელმწიფო ურთიერთობის საფუძველზე არსებული ეროვნული გვარდიისგან;

3. საომარი მდგომარეობის დროს, დეკრეტით, თავდაცვის ძალებში ეროვნული გვარდიის, ტერიტორიული რეზერვისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები ერთიანდებიან;
4. თავდაცვის ძალებს, გარდა ეროვნული გვარდიისა, ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალური შტაბი, ხოლო საომარი მდგომარეობისას, თავდაცვის ძალებს, ეროვნული გვარდიის ჩათვლით, ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი;
5. გენერალური შტაბი არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. გენერალური შტაბი ანგარიშვალდებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. გენერალური შტაბის მეთაურს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. გენერალური შტაბის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოს კანონით;
6. ეროვნული გვარდია ყალიბდება რეგიონების ტერიტორიაზე და გამოიყენება რეგიონის მასშტაბით ტერორისტული აქტის, ბუნებრივი ან ტექნოგენური კატასტროფის სხვა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. ეროვნული გვარდია ემორჩილება რეგიონის მმართველს, გარდა ამ მუხლის ეროვნული მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. საომარი მოქმედებების დროს, ეროვნული გვარდიის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ზურგის ოპერაციებისთვის. დაუშვებელია ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება და გამოყენება ორდინალური საბრძოლო მოქმედებებისთვის;
7. ტერიტორიული რეზერვის ორგანიზების წესი, სავალდებულო გაწვევის პროცედურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს კანონით;
8. ტერიტორიული რეზერვის ორგანიზებას და მართვას ახორციელებს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა. ტერიტორიულ რეზერვში, რეგიონის ბიუჯეტის შესაძლებლობიდან გამომდინარე, ხდება ყველა ზრდასრული, 50 წლამდე მოქალაქის გაწვევა არაუმეტეს ორი კვირით წელიწადში ორჯერ წვრთნებისათვის; გაწვევის რიგითობას და მასშტაბებს ადგენს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი და ამტკიცებს რეგიონის მმართველი;
9. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისთვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი;

10. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით.

თავი მეთორმეტე. სავალუტო საბჭო

მუხლი 63

1. საბჭო არის საქართველოს ეროვნული ბანკის ვალდებულებებისა და შესაბამისი აქტივების სამართალმემკვიდრე;
2. სავალუტო საბჭოს (შემდგომში საბჭო) მიზანია, გამოუშვას ბანკნოტები და მონეტები ქართულ ლარში და შეინახოს უცხოური რეზერვების საკმარისი ოდენობა იმისთვის, რომ უზრუნველყოს ფიქსირებული გაცვლითი კურსით სრული კონვერტირებადობა სარეზერვო ვალუტაში;
3. თავდაპირველად სარეზერვო ვალუტა უნდა იყოს ევროში და ამ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში უნდა დადგინდეს ფიქსირებული კურსი. ამ წესით დადგენილი ფიქსირებული გაცვლითი კურსი იქნება ფიქსირებული კურსი იმ ვადით, რა ვადაზეც საბჭო შეთანხმდება.

მუხლი 64

1. თუ სარეზერვო ვალუტა განიცდის დეფლაციას ან ინფლაციას, საბჭოს, საკუთარი ვალუტის მსყიდველობითი უნარის რყევების შესარბილებლად, შეუძლია გადადგას შემდეგი ნაბიჯები:
 - ა) თუ ქვეყანაში, რომელიც სარეზერვო ვალუტას უშვებს, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ყოველწლიური ცვლილება -2%-ზე დაბალია ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში ან 5%-ზე დაბალი — სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში, საბჭოს შეუძლია განახორციელოს საკუთარი ვალუტის დევალვაცია სარეზერვო ვალუტის მიმართ. ამ შემთხვევაში, დევალვაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს დეფლაციის ჯამურ მოცულობას.
 - ბ) თუ ქვეყანაში, რომელიც სარეზერვო ვალუტას უშვებს, სამომხმარებლო ფასების ინდექსის ყოველწლიური ცვლილება აღემატება 20%-ს ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში ან 40%-ს - სამი თანმიმდევრული თვის განმავლობაში, საბჭოს შეუძლია

განახორციელოს საკუთარი ვალუტის რევალვაცია სარეზერვო ვალუტის მიმართ. რევალვაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სარეზერვო ვალუტის ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილებასა და ამ პუნქტით წარმოდგენილ შესაბამის განაკვეთს შორის სხვაობას.

გ) ა და ბ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დეფლაციისა და ინფლაციის შემთხვევებში საბჭოს შეუძლია აირჩიოს ახალი სარეზერვო ვალუტა და დაადგინოს ახალი ფიქსირებული გაცვლითი კურსი საკუთარ ვალუტასა და ახლადარჩეულ სარეზერვო ვალუტას შორის, რომელიც ახალ და ძველ სარეზერვო ვალუტებს შორის ყველაზე ხშირად დაფიქსირებული კურსის ტოლი იქნება;

2. საბჭო იმართება ხუთი დირექტორის მიერ. სამი დირექტორი უნდა იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე და ისინი უნდა დანიშნოს ევროპაში აღიარებულმა საბანკო სუბიექტმა, ორი დირექტორი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. მათგან ერთს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ერთს - პარლამენტი - უმცირესობის 2/3 და უმრავლესობის 2/3 ხმებით. დირექტორები, რომლებსაც ნიშნავს საერთაშორისოდ აღიარებული საბანკო სუბიექტი, არ უნდა იყვნენ რომელიმე მთავრობის ან მრავალმთავრობიანი ორგანიზაციის წარმომადგენლები;
3. ხელშეკრულებას სავალუტო საბჭოს დირექტორებთან დებს საქართველოს პრეზიდენტი;
4. სავალუტო საბჭოსთან და მის დირექტორებთან შეიძლება გაუქმდეს ხელშეკრულებები, თუ ვერ შენარჩუნდება ფიქსირებული გაცვლითი კურსი სარეზერვო ვალუტასთან;

მუხლი 65

1. საბჭოს უცხოური რეზერვები უნდა განთავსდეს მაღალი რეიტინგის და ლიკვიდობის ფასიან ქაღალდებში ან სხვა აქტივებში, რომელთა ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ სარეზერვო ვალუტაში. საბჭოს არ აქვს უფლება ფლობდეს საქართველოს ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს. საბჭოს რეზერვები მისი ვალდებულებების მფლობელთა საკუთრებაა და საქართველოს მთავრობას არ აქვს მათი მისაკუთრების უფლება;
2. ქართული ლარი და სარეზერვო ვალუტა არის კანონიერი საგადამხდელო საშუალება, მათ შორის, გადასახადების გადახდისას. თუმცა კერძო პირებს შორის ხელშეკრულება შესაძლებელია მათთვის სასურველ ნებისმიერ ვალუტაში გაფორმდეს და არავის აქვს

უფლება, მათ აიძულოს რომელიმე კონკრეტულ ვალუტაში ხელშეკრულების გაფორმება;

3. საბჭოს არ აქვს უფლება დააწესოს საკომისიო, როდესაც ქართული ლარის გაცვლა ხდება სარეზერვო ვალუტაზე;
4. საბჭომ წმინდა სენიორაჟი უნდა ჩარიცხოს სარეზერვო ფონდში, სანამ უცხოური რეზერვები, რომელიც მას არ უსესხებია, დეპოზიტებისა და მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების და მონეტების საერთო მოცულობის 110%-ს არ გაუტოლდება. ამის ზემოთ მიღებული წმინდა სენიორაჟი გადაეცემა საქართველოს მთავრობას. წმინდა სენიორაჟი ნაწილდება ყოველწლიურად;
5. საბჭომ, თვეში ერთხელ მაინც, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ინტერნეტ გვერდზე, უნდა გამოაქვეყნოს დირექტორთა მიერ დამოწმებული ფინანსური ანგარიში. ანგარიშში შეფასებული უნდა იყოს საბჭოს აქტივების საბაზრო ღირებულება. საბჭოს ყოველწლიური აუდიტი უნდა განახორციელოს საერთაშორისო სააუდიტო კომპანიამ, რომელსაც გამოაქვეყნებს საბჭო.

მუხლი 66

1. არ შეიძლება საბჭოს დაშლა ან/და საბჭოს აქტივების მისი მემკვიდრე ორგანიზაციისთვის გადაცემა, თუ:
 - ა) ამ ცვლილებაზე თანხმობას არ განაცხადებს საქართველოს პარლამენტის უმცირესობის 2/3 და უმრავლესობის 2/3, საქართველოს პრეზიდენტი და საბჭოს ყველა წევრი;
 - ბ) არ დაკმაყოფილება მისი ყველა მონეტარული ვალდებულება;
2. საბჭოს, საწყისი რეზერვის შექმნის მიზნით, შეუძლია მიიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო მთავრობების სესხები და გრანტები, რომელიც 100%-ით მონეტარული ბაზის გამაგრებისკენ იქნება მიმართული. საწყისი რეზერვები, სესხების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს მონეტარული ბაზის 100%-ს. ამ ზღვრის მიღწევის შემდეგ საბჭოს ეკრძალება სესხის აღება;
3. საბჭოს არ აქვს უფლება საქართველოს მთავრობას გაუწიოს საბანკო მომსახურება და იგი არ არის პასუხისმგებელი მთავრობის ფინანსურ ვალდებულებებზე;
4. საბჭო არ არის განთავისუფლებული გადასახადებისაგან;
5. კანონს, რომელიც განსაზღვრავს ევროპული საბანკო ორგანიზაციის პარტნიორობას, ასევე დირექტორების დანიშვნის/არჩევის წესს, იღებს საქართველოს პარლამენტი.

თავი მეცამეტე. ცენტრალური საგამოძიებო სამსახური

მუხლი 67

1. ცენტრალური საგამოძიებო სამსახურის ამოცანაა საგამოძიებო პროცესის წარმოება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, როდესაც სავარაუდო დანაშაული სცდება რეგიონის ფარგლებს ან დანაშაულის ტიპი საჭიროებს მარალფროფესიონალურ გამოძიებას და სახელმწიფო რესურსების გამოყენებას.

მუხლი 68

1. სავარაუდო დანაშაულის ტიპები, რომლებიც აუცილებლობით მოითხოვენ ცენტრალური საგამოძიებო სამსახურის ჩართულობას და გამოძიების ხელმძღვანელობას, განისაზღვრება საქართველოს კანონით.

მუხლი 69

1. ცენტრალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

თავი მეოთხმეტე. კონსტიტუციის გადასინჯვა და საერთაშორისო ხელშეკრულებები

მუხლი 70

1. კონსტიტუცია გადასინჯება კონსტიტუციური კანონით, რომლის პროექტის წარდგენის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ზე მეტს ან არანაკლებ 250000 ამომრჩეველს ან საკრებულოს სრული შემადგენლობის 2/3-ზე მეტს;
2. კონსტიტუციური კანონის პროექტი წარედგინება პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ;
3. კონსტიტუციური კანონი მიღებულიად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 და ყველა რეგიონის საკრებულოს შემადგენლობის არანაკლებ 2/3, ცალ-ცალკე. მხოლოდ ამის შემდეგ

კონსტიტუციური კანონი ხელმოსაწერად დაუყოვნებლივ გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს;

4. დაუშვებელია კონსტიტუციური კანონით კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპებისა და ადამიანის უფლებების გაუქმება;

5. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა შეჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე;

6. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3ის და ყოველი საკრებულოს სრული შემადგენლობის 2/3ის თანხმობით.